ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 102 (4096)

1970 წ. 27 მაისი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# იღბალიც საჭიროა

— შამათი! — ყრუდ გაისმა დარბაზში, როცა თ. ხუგაშვილმა IV ტურში იუგოსლაველი მ. მერლინის მეფე დააშამათა. დიდი ტურნირების პრაქტიკაში პარტია ასე თითქმის არასოდეს მთავრდება, წაგებული ადრე ნებდება.

თბილისელი მოჭადრაკის თამაში ამ შეჯიბრებაში საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებს. მან ოთხივე პარტიაში ბრძოლის ბედი ენდშპილში გადაწყვიტა. ეს მაშინ, როცა ხუგაშვილს უყვარს ფიგურებით სავსე დაფაზე ტაქტიკური ბრძოლა. ჩანს, ნიჭიერმა მოჭადრაკემ დაასკვნა, რომ ენდშპილის ძლიერი თამაში სპორტის ოსტატის წოდების მისაღებად ყველაზე უტყუარი გზაა. იმედია, თბილისის ექს-ჩემპიონი შეძლებს ნორმატივის (8,5 ან 9 ქულა) შესრულებას. მით უმეტეს, რომ მას ახლა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი ბ. გურგენიძე ამეცადინებს.

— წინ კიდევ მძიმე შეხვედრებია. საჭიროა მეტი სულიერი სიმხნევე და ცოტა იღბალიც, — ამბობს გურგენიძე.

IV ტურში სხვა ლიდერებმაც ჩინებულად ითამაშეს. რუმინელმა ა. ნიკოლაუმ იოლად მოიგერია ე. კაკაბაძის იერიში. ქართველმა ოსტატმა მეფის ფრთის ერთ-ერთი პაიკი შეცდომით აიყვანა და იძულებული შეიქნა ლაზიერს გამოთხოვებოდა.

ე. რუბცოვას მეტოქემ — პოლონელმა ქ. რაძიკოვსკამ აქტიურად განალაგა თავისი ორივე კუ (თუმცა ეს პაიკის ფასად დაუჯდა), მაგრამ შემდგომ ვერ მიაგნო ინიციატივის განვითარების გზას. მოსკოველმა ოსტატმა პაიკი შეინარჩუნა, ხოლო ერთ-ერთი კუს გაცვლის შემდეგ კიდევ ორი პაიკი მოიგო. 37-ე სვლაზე პოლონეთის ჩემპიონმა პარტია დათმო.

ბულგარელმა ა. გეორგიევამ მოუგო ნ. ალექსანდრიას. სიცილიურ დაცვაში ბულგარეთის ჩემპიონმა დიდოსტატ რ. ფიშერის საყვარელი სისტემა გამოიყენა. ეს სისტემა საშიში არ არის, მაგრამ სსრ კავშირის ჩემპიონმა დაცვის არაეფექტური გეგმა აირჩია. მალე მისი მეფე განსაცდელში აღმოჩნდა. გეორგიევამ მას მძაფრად შეუტია. ალექსანდრია სულ უფრო დიდხანს უფიქრდებოდა პოზიციას, მაგრამ ხსნა არ ჩანდა. გეორგიევას შეეძლო ლაზიერის შეწირვით გამარჯვება, მაგრამ მან ნაღდი გზა აირჩია: კუში ეტლისა და ორი პაიკის მოგებით დაკმაყოფილდა. უკვე უიმედო მდგომარეობაში ალექსანდრიას საათზე ალამი ჩამოუვარდა.

საინტერესო იყო ნ. ჩიქობავა — ლ. კოროშინაძის შეხვედრა. ჩიქობავამ მეტოქეს იერიში დაასწრო და შავ მეფეს შეუტია. მუქარა იმდენად სერიოზული გამოდგა, რომ კოროშინაძემ ლაზიერი შესწირა. მაგრამ ამ მსხვერპლმა ვერ უშველა ლაზიერის ფრთაზე გახიზნულ მის გვირგვინოსანს.

რთულ პოზიციაში გადაიდო ო. ანდრეევა (ხარკოვი) — ო. რუბცოვას (მოსკოვი) პარტია. ც. კახაბრიშვილის ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი შეხვედრა ც. კობაიძესთან.

4 ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობენ ნიკოლაუ, ე. რუბცოვა და ხუგაშვილი — 3,5-3,5 ქულა. გეორგიევას 3 ქულა აქვს, ჩიქობავას — 2,5.

თ. გიორგაძე.

ჭადრაკი

ამას წინათ სოფიაში გაიმართა უნგრეთის, რუმინეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და ბულგარეთის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეჯიბრება. ყველას აჯობა მასპინძელმა მ. გიგოვამ, რომელმაც უსაგნოდ ვარჯიშში 9,75, ორი საგნით ვარჯიშში — 19,35, ხოლო მრავალჭიდში 29,10 ქულა მოაგროვა.

სურათზე: მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გიგოვა ასპარეზობისას.



● ლიუბლიანა, 25 მაისი. კალათბურთელ ვაჟთა VI მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით აქ მოასპარეზე გუნდების მწვრთნელებმა სიმბოლური მსოფლიო ნაკრები შეადგინეს, რომელშიც შევიდნენ: ს. ბელოვი (სსრ კავშირი), ვაშინგტონი (აშშ), უბირატანი (ბრაზილია), სკანსი (იუგოსლავია) და პაულაუსკასი (სსრ კავშირი).

● ვროცლავი, 25 მაისი. აქ დამთავრდა რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის პირველობა ფრენბურთელ ქალთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, გდრ-ის, ბულგარეთის, იუგოსლავიისა და პოლონეთის გუნდები. I ადგილი დაიკავა მოსკოვის „ლოკომოტივმა".

● მოსკოვი, 25 მაისი. ბაქან სევერიანინის რაიონში მდებარე სასროლეთზე ორ დღეს გაგრძელდა მესტენდურეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ გდრ-ის, რუმინეთის, ესპანეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. გაიმარჯვეს მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ე. პეტროვმა (სსრ კავშირი) და ამ ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა კ. ჩეკალამ (რუმინეთი). პეტროვი საუცხოო შედეგით (197 ქულა) საუკეთესო იყო მრგვალ სტენდზე სროლაში, ხოლო ჩეკალა — ადგილიდან სროლაში (194 ქულა).

● სამარყანდი, 25 მაისი. დღეს აქ დამთავრდა 100-უჯრიან შაშში საერთაშორისო ტურნირი, რომელიც სამარყანდის 2500 წლისთავს მიეძღვნა. ყველას აჯობა საერთაშორისო დიდოსტატმა ვ. შჩოგოლევმა (მოსკოვი) — 8 ქულა 11-დან. იგი მსოფლიო ჩემპიონთან ა. ანდრეიკოსთან (რიგა) ერთად მთელი ტურნირის განმავლობაში სათავეში ედგა მოწინავე ჯგუფს, რომელიც დროდადრო ხუთ მოშაშეს ითვლიდა. ზედ ფინიშთან შჩოგოლევმა ნახევარი ქულით გაუსწრო თავის მრისხანე მეტოქეს. კალენდარის ნებით, შჩოგოლევი და ანდრეიკო შეჯიბრების ბოლო დღეს შეხვდნენ ერთმანეთს. რიგელს მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს, მაგრამ შჩოგოლევმა უვნებელყო მსოფლიო ჩემპიონის ყველა მუქარა და შეუპოვარი ბრძოლა ყაიმით დამთავრდა. ანდრეიკომ 7,5 ქულით II ადგილი დაიკავა. III ადგილზეა ი. კუპერმანი (კიევი) — 7 ქულა. შემდეგ მოდიან: ლ. ციპესი (ხარკოვი), კ. სმითი (აშშ) — 6,5-6,5, ვ. ვან დერ სლუისი (ჰოლანდია), ს. დავიდოვი (ტაშკენტი) — 6-6, ვ. კაპლანი (კიევი) — 5,5, ი. შაუსი (რიგა), ა. განტვარგი (მინსკი) — 5-5, ჰ. ვერნერი (ჰოლანდია) — 3, ე. ფანელი (იტალია) — 0.

## გუშინდელ

გაიმართა „ა" კლასის II ჯგუფის II ზონის ფეხბურთელთა გუნდების მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე. აი, მათი შედეგები: „ტრუდი" (ვორონეჟი) — „სატურნი" (რიბინსკი) 2:2, „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „ვოლგა" (კალინინი) 0:2.

გორის „დილისა" და ტულის „მეტალურგის" შეხვედრის ანგარიში იხ. მე-3 გვ.

## დაყოფილი სტარტის საიდუმლო

ლაიპციგი, 25 მაისი. ტანმორჩილმა, კაფანდარა ფრანგმა მ. დიუშემენმა (იგი სულ 60 კგ-ს იწონის) დღეს დაყოფილი სტარტით 33-კილომეტრიანი რბოლა მოიგო მარშრუტით ჰალე — ლაიპციგი. გამარჯვებულის დროა 42.47. ეს იყო მშვიდობის ტრადიციული, XXIII ველორბოლის XIII ეტაპი და ამ გამარჯვებით დიუშემენი ძალიან მიუახლოვდა შეჯიბრების ლიდერს — პოლონელ რ. შურკოვსკის (41:41.28). ახლა ფრანგი შურკოვსკის სულ რაღაც 32 წამით ჩამორჩება. III ადგილზე გადაინაცვლა ი. გალამ (ჩეხოსლოვაკია) — 42:46.16.

საბჭოთა მრბოლელთაგან საუკეთესო — სოჭელი გ. საიდხუჟინი IX ადგილზეა — 41:49.26.

გუნდურ ჩათვლაში კვლავ ლიდერობს პოლონეთის ნაკრები — 167:03.59. მას 15 წუთითა და 12 წამით ჩამორჩებიან II ადგილზე მყოფი ჩეხოსლოვაკიელები, რომლებთანაც დაახლოებით 6 წუთს აგებენ სსრ კავშირის ველოსიპედისტები (III ადგილი).

რამდენიმე საათის დასვენების შემდეგ მრბოლელებს ახალი „გამოცდა" ელოდათ — 60-კილომეტრიანი წრიული რბოლა ლაიპციგის ქუჩებში. 25 წრე ყველაზე სწრაფად (საათში საშუალოდ 48 კმ) დაფარა ბელგიელმა ფ. ლემენსმა. ოქროს მედალი XIV ეტაპზე მას ასეთმა შედეგმა მოუტანა: 1:15.22. ვერცხლი პოლონელ ზ. ხანუშჩიკს ხვდა, ხოლო ბრინჯაო — ბ. კნისპელს (გდრ). ისინი გამარჯვებულს ნახევარი ბორბლით ჩამორჩნენ.

# 16 ფინალისტის საქმენი

მეხიკო, 25 მაისი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილეების ბოლო საწვრთნელმა შეხვედრებმა მექსიკის სხვადასხვა კლუბთან სამწუხარო შედეგებიც მოიტანა: დაშავდნენ პელე და ბულგარეთის ნაკრების მეკარე ს. სიმეონოვი. ბრაზილიის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც პელემ თავისი მე-100 მატჩი ჩაატარა, ანგარიშით 3:0 დაამარცხა „ირაპუატო". პირველი ბურთი ბრაზილიელებმა 58-ე წუთზე გაიტანეს, ხოლო დანარჩენი ორი — თამაშის ბოლო 6 წუთში. პელე პირველ ტაიმში მეტოქეთა ერთ-ერთ მცველს შეეჯახა და იძულებული გახდა მინდორი დაეტოვებინა.

ბულგარელებმა ფრედ ითამაშეს „ლეონთან" — 3:3. გუნდის მწვრთნელი ს. ბოჟკოვი იმედოვნებს, რომ მეკარის ტრავმა უმნიშვნელოა.

გვადალახარაში რუმინეთის ნაკრებმა ფრედ (2:2) დაამთავრა შეხვედრა ადგილობრივ „ატლასთან". საინტერესოა აღინიშნოს, რომ ოთხივე გოლი 9 წუთში (70-ე წუთიდან 79-მდე) გავიდა.

იტალიის ნაკრებმა ტოლუკაში დაამარცხა ამავე სახელწოდების ადგილობრივი გუნდი — 5:3, პუებლაში კი ბელგიის ეროვნულმა გუნდმა მოუგო ადგილობრივ „ამერიკას" — 1:0.

ინგლისის ფეხბურთელებმა თავიანთ ბოლო საწვრთნელ მატჩში ეკვადორის ნაკრები დაამარცხეს (2:0) კიტოში. ჩემპიონთა მწვრთნელი ა. რამსეი კმაყოფილია თავისი ბიჭების ფიზიკური მომზადებითა და მაღალმთიანეთში მათი თამაშით.

ფიფა-მ ჩემპიონატთან დაკავშირებით რამდენიმე ახალი დადგენილება გამოსცა. კერძოდ, „უკანონოდაა" აღიარებული ფეხბურთელთა მაისურზე მე-13 ნომერი: სპორტსმენი, რომელიც თავის გუნდში ამ ნომერს ატარებს, მინდორზე უნომრო მაისურით უნდა გამოვიდეს. როგორც ცნობილია, საბჭოთა ნაკრებში ეს „თარსი" ნომერი ლ. იაშინს ერგო, მაგრამ სახელგანთქმული მეკარე ამას ოდნავადაც არ შეუშფოთებია.

მექსიკელი ფეხბურთის მოყვარულნი იმედოვნებენ ნახონ, როგორ გამოიტანს საბჭოთა მეკარე თავისი კარიდან ბურთს, რომელსაც მექსიკელები გაიტანენ. ერთმა საფეხბურთო გუნდმა საგანგებო პრიზიც კი დააწესა იმ ფეხბურთელისთვის, რომელიც პირველად აიღებს საბჭოთა ნაკრების კარს მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩში.

მსაჯებს გაცხარებული სემინარი აქვთ. 30 „სასტიკი მამაკაცი" — მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ბედის განმგებლები დიდი გულისყურით უყურებენ ფილმებს 16 ფინალისტის მონაწილეობით. ფირს ორჯერ ატრიალებენ: ნორმალური და შენელებული სიჩქარით: მსაჯებს საშუალებას აძლევენ გაიაზრონ და შეაფასონ მატჩის მსვლელობა და მოთამაშეთა მოქმედება.

ფეხბურთი

# „ვერცხლის სასალათისთვის" ბრძოლაში

სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრები (თბილისელი ა. მეტრეველი, ბაქოელი ს. ლიხაჩოვი და მოსკოველი ვ. კოროტკოვი) დევისის თასის გათამაშების ევროპული „ბ" ზონის ნახევარფინალში გავიდა. მეოთხედფინალში მან სტუმრად „მშრალი" ანგარიშით (5:0) სძლია მონაკოს გუნდს. კვირას, შეჯიბრების ბოლო დღეს, კოროტკოვმა მოუგო ვატრიკანს (6:0, 6:0, 6:0), ხოლო მეტრეველმა — ტრუჩის (6:2, 6:4, 6:2).

ახლა საბჭოთა ჩოგბურთელები ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებს უნდა შეხვდნენ, რომლებიც მეოთხედფინალში არ გამოსულან, ვინაიდან მათი მეტოქე — სამხრეთ როდეზიის ნაკრები მონაწილე ქვეყნების უმრავლესობის დაჟინებით იძულებული გახდა უარი ეთქვა დევისის თასის გათამაშებაში თამაშზე.

ევროპული „ბ" ზონის მეორე ნახევარფინალური წყვილი ბელგიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებმა შეადგინეს. მეოთხედფინალში ბელგიელებმა აჯობეს ფინეთის ნაკრებს, ხოლო დასავლეთგერმანელებმა — არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის გუნდს.

ევროპული „ა" ზონის მეოთხედფინალშიც მოულოდნელი არაფერი მომხდარა. რუმინელმა ჩოგბურთელებმა, რომლებიც შარშან მხოლოდ საკონტინენტთაშორისო მატჩის ფინალში დამარცხდნენ „ვერცხლის სასალათის" 22-გზის მფლობელთან — აშშ-ს ნაკრებთან, სძლიეს საბერძნეთის გუნდს. ახლა რუმინელები შეხვდებიან იუგოსლაველებს, რომლებმაც ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს დაამარცხეს ფარხმალი. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგებიან საფრანგეთისა და ესპანეთის ჩოგბურთელები. მეოთხედფინალურ შეხვედრებში ფრანგებმა სძლიეს ავსტრიელებს, ესპანელებმა კი ბულგარელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული ყამირი

თიანეთის რაიონს თამამად შეიძლება სპორტული ყამირი ეწოდოს. ამ რაიონის წარმომადგენლები მეტისმეტად იშვიათად ჩანან რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. ასევე იშვიათად ეწყობა რაიონული ტურნირები. რა არის მიზეზი ფიზკულტურისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულებისა?

## დამალული თავმჯდომარე

„კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე ლ. გონჯილაშვილი ერთბაშად ხიბლავს მნახველს. უაღრესად თავაზიანად შემხვდა, ღიმილით მითხრა რამდენიმე ფრაზა და... გაქრა. სამ დღეს დავრჩი თიანეთში და თავმჯდომარეს თვალიც ველარსად მოვკარი. ვერც საჭირო საბუთები ვნახე. სხვათა შორის, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის გ. ბიჩელაშვილის სიტყვით, ეს საბუთები გონჯილაშვილს არც ჰქონია. შარშან კოლმეურნეთა შორის არც ერთი შეჯიბრება არ ჩატარებულა. სამაგიეროდ, თურმე 278 თანრიგოსანი (?!) მოუმზადებიათ. „კოლმეურნე" 91 მძლეოსანს ითვლის და აქედან ნახევარს თანრიგი ჰქონია.

ახლა კი რაიონის I პროფკავშირული სპარტაკიადის მძლეოსნური შეჯიბრებების ოქმებს გადავხედოთ. აი, სასოფლო საზოგადოების წარმომადგენელთა შედეგები: 24 წლის ნ. ჩიბურიძე 501 სმ სიგრძეზე გადამხტარა, ვ. ნადირაშვილს 100 მეტრი 13,1 წამში გაურბენია. სიმაღლეზე ხტომაში თურმე 19 მძლეოსანი ასპარეზობდა, ჩემპიონ ვ. ადუაშვილის შედეგი კი მხოლოდ 125 სანტიმეტრია. 7,12 მეტრზე ჰკრა ბირთვი ჟ. ხახაშვილმა. **როგორ შეასრულა 48 კაცმა სათანრიგო მოთხოვნები მძლეოსნობაში, თუ ეს ზღვარი ჩემპიონებმაც კი ვერ გადალახეს?**

სოფლის სპორტსმენებს ფეხბურთელთა რაიონულ შეჯიბრებაშიც კი არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა ფეხბურთი ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი სახეობაა. „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობის გზა მათ დიდი ხანია დაავიწყდათ. ხევსოფლისა და ტუშურების კოლმეურნეობებში სულ 2-3 სექცია მუშაობს, გონჯილაშვილის ცნობებით კი ეს რიცხვი ბევრად უფრო გაზრდილია.

რაიონი საერთოდ არ მომზადებულა საქართველოს სოფლის სპორტსმენთა თამაშებისთვის.

გონჯილაშვილის ცნობებით, მას თანაშემწეთა მთელი არმია ჰყავს — 100 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და 23 საზოგადოებრივი მწვრთნელი. და არმია უმოქმედოდ ცდება. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ეს ციფრებიც მოგონილია და თავმჯდომარეს ასეთი თანამშრომლები საერთოდ არა ჰყავს?

პირდაპირ გაუგებარია: **სოფლის სპორტსმენთა ხელმძღვანელობა დაავალეს კაცს, რომელსაც სპორტთან საერთო არაფერი აქვს. ორი წელია გონჯილაშვილი საქმეს ღუპავს და ორი წელია ყველა გულგრილად უყურებს ამ ამბავს.** ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს გ. ბიჩელაშვილს არც ერთხელ არ განუხილავს სოფლის თუნდაც ერთი ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობის საკითხი. უმოქმედოდ იყო რაიალმასკომთან არსებული ფიზკულტურის მუდმივი კომისიაც. ბიჩელაშვილი ამტკიცებს, გონჯილაშვილს ავუხსენი მუშაობის პრინციპები, მაგრამ მან მშვიდად მომისმინა და... არაფერი გააკეთაო. „კოლმეურნე" 700 ფიზკულტურელს ითვლის, მაგრამ თავმჯდომარის უსაქმურობის გამო მათი დიდი ნაწილიც არაფერს აკეთებს.

## სტადიონი აბარია... ცხენს

სიონში წავარჯიშება რომ მოგინდეთ, თიანეთის სტადიონზე ამ უბრალო სურვილს ვერ აისრულებთ — სარბენი ბილიკი არ არის. თუმცა ამ ბაზას სხვაც ბევრი რამ აკლია. ორი წელია შენდება გასახდელი, მაგრამ ამ „დიდი მშენებლობის" დამთავრებას არ იქნა და საშველი არ დაადგა. ორი წელია ხის ღობე მოარღვიეს, მაგრამ ახალი ვერ იქნა და ვერ გააკეთეს. ფეხბურთის მოედანზე ერთადერთი „მოთამაშე" ცხენი აღმოჩნდა. ალბათ ისაა მთელი სტადიონის ბატონ-პატრონიც. შაბათ დღეს მე იქ სხვა სულიერი არ დამინახავს.

ამ ოთხი წლის წინ სტადიონის მახლობლად ღია საცურაო აუზის მშენებლობა დაიწყეს. საძირკველი გათხარეს და საქმე მიატოვეს.

რაიონში 14 სკოლაა. მათგან სპორტდარბაზი მხოლოდ ორსა აქვს, ბავშვებს კი სპორტი უყვართ. განა არ შეიძლება ფიზკულტურელებს გადასცენ თუნდაც კულტურის სახლის ძველი შენობა? საჭიროა ამ შენობის სულ უმნიშვნელო გადაკეთება და თიანეთის რაიონს ნამდვილი სპორტული დარბაზი ექნება. ბოლოს და ბოლოს, **თუ კი 12 სასადილო შეიძლება ჰქონდეთ, ერთი სპორტული დარბაზი რა გახდა?**

## მასწავლებელი ცენტრალური ფიგურაა

მიხეილ ლვინიაშვილი 18 წელია სიონის საშუალო სკოლაში მასწავლებლად მუშაობს. გულმოდგინედ შრომობს, ბავშვებს ფიზკულტურისა და სპორტის სიყვარულს უნერგავს. თითქოს წვრილმანია, რომ გაკვეთილზე ყველა მოსწავლეს აუცილებლად სპორტული ფორმა უნდა ეცვას, მაგრამ ამას თავისი მნიშვნელობა აქვს. რამდენი სკოლა ვიცით თუნდაც ჩვენს დედაქალაქში, სადაც ეს ელემენტარული მოთხოვნა არ სრულდება? თავიდან მიხეილსაც გაუჭირდა, მაგრამ ახლა ფიზკულტურის გაკვეთილები ცოცხლად, მიმზიდველად ტარდება, მასწავლებელს ეხმარება ბავშვების სიყვარული და, ამას გარდა, სპორტული ქალაქი — ტანვარჯიშული ინვენტარი, ფეხბურთის მოედანი, სიგრძეზე სახტომი ორმო, საჭიდაო სარბიელი. ბავშვები ყოველ თავისუფალ წუთს აქ ატარებენ.

სკოლაში რეგულარულად გამოდის კედლის გაზეთი „ფიზკულტურელის ხმა". ბოლო ნომერში, მაგალითად, იუწყებიან, რომ მოეწყო საინტერესო შეხვედრები მაგიდის ჩოგბურთში. სხვათა შორის, ეს სექცია ყველაზე მასობრივია სკოლაში. თამაშობენ მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც. მეცხრეკლასელმა ა. თაზაგულოვმა შარშან რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა საშუალო ასაკის მოსწავლეთა შორის. მან და ინეზა ჩიკვაიძემ მაგიდის ჩოგბურთში II თანრიგის ნორმატივი შეასრულეს. გ. არაბულმა მძლეოსნობაში აჩვენა ამ ნორმატივის შედეგი. შარშან 14 მოსწავლე მესამეთანრიგოსანი გახდა. სხვათა შორის, სკოლაში სპორტდარბაზი არ არის. ზამთრობით ბავშვები ვესტიბიულში ვარჯიშობენ, მაგრამ მონდომებას და დაინტერესებას თავისი გააქვს.

მოსწავლეები გაერთიანებული არიან ფეხბურთის, მძლეოსნობის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის სექციებში. მასწავლებელს აქტივისტებიც ეხმარებიან. ამ მონდომების შედეგი იყო, შარშან სკოლის სპორტსმენებმა რაიონში საპატიო II ადგილი რომ დაიკავეს.

წლეულს სკოლაში ახალი სპორტული კომპლექსი შეიქმნება და მუშაობა კიდევ უფრო ფართოდ გაიშლება.

დასანანი მხოლოდ ისაა, რომ ზოგჯერ მასწავლებელს ხელს უშლიან. მაგალითად, სკოლას 16 წელიწადს ეკუთვნოდა სტადიონი, რომელიც თავად მოსწავლეებმა მოაწყვეს. მაგრამ 1968 წელს ეს სტადიონი მეთევზეობის მეურნეობის მაშინდელ დირექტორს ნ. ხაიაურს დასჭირდა. დასჭირდა და წაიღო კიდეც. მოსწავლეებმა ბევრს სთხოვეს დახმარება, მაგრამ პასუხი არავისგან მიუღიათ.

ყველაზე საინტერესო, რომ სტადიონზე მხოლოდ წლეულს დააწყვეს რამდენიმე მორი, მაგრამ რამეს ააშენებენ თუ არა, ეს კიდევ საკითხავია.



## ერთი კაცი რას გახდება

გ. ბიჩელაშვილს ყოველივე ზემოთქმულის გამო დიდ მადლობას, რასაკვირველია, ვერავინ ეტყვის, მაგრამ გულგრილობაში მას ბრალს ვერ დასდებთ. ვერ ვიტყვით, რომ თავმჯდომარე საქმის გამოსწორებას არ ცდილობდეს. იგი განსაკუთრებით აქტიურია ბავშვებთან მუშაობაში. შარშან რაიონში მოსწავლეთა 8 პირველობა ჩატარდა. გაიმართა ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება „ტყავის ბურთის" პრიზზე. საქკოლო კოლექტივებში რეგულარულად მუშაობს სპორტული სექციები. მაგრამ ბავშვები იზრდებიან, სკოლას ამთავრებენ და... სპორტისთვის იკარგებიან. მაგალითად, ორი წლის წინ რაიონის ფეხბურთელები რესპუბლიკის პირველობაში მონაწილეობდნენ, ახლა კი გუნდი რატომღაც დაიშალა და მის აღდგენაზე აღარავინ ფიქრობს. ცუდი მდგომარეობაა მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, ველოსპორტში, ჭიდაობაში, სპორტულ ტანვარჯიშში. რეგულარულად მხოლოდ ერთეულები ვარჯიშობენ, თუმცა რაიონში 3001 ფიზკულტურელია. მათი ნახევარი მაინც სისტემატურად რომ მეცადინეობდეს, დიდი საქმე გაკეთდება. ოღონდ, რასაკვირველია, საჭიროა ახალი დარბაზები, ახალი მოედნები, ძველი ბაზების კეთილმოწყობა.

იქნებ დროა დადგეს საკითხი თიანეთის რაიონში თუნდაც ერთი-ორი განყოფილების ან ბავშვთა სპორტული სკოლის გახსნის შესახებ? ბიჩელაშვილს 39 კოლექტივი აბარია და ისინი 160 კილომეტრზე არიან გაფანტული. ერთი კაცი ყველა საქმეს ვერ გასწვდება. ბოლოს და ბოლოს ის ხომ მაინც შეიძლება, რომ თავმჯდომარეს ერთი მოტოციკლი გამოუყონ, რათა მან დღეში რამდენიმე კოლექტივს მაინც მიაკითხოს?

ამ ხუთი წლის წინ მე თიანეთში ვიყავი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებთან ერთად. მათს საჩვენებელ გამოსვლებს დიდძალი მაყურებელი დაესწრო. არ შეიძლება, რომ ასეთი ღონისძიებები კიდევ გავიმეოროთ? თავმჯდომარეს უნდა დავეხმაროთ ინვენტარითაც, ხელი შევუწყოთ მუშაობაში და მაშინ თიანეთის რაიონს უკვე გატეხილი სპორტული ყამირი ერქმევა.

**ვ. ბუკინი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

თიანეთი.

* * *





სურათებზე: ზევით — ფიზკულტურის გაკვეთილი სიონის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი მ. ლვინიაშვილი ავარჯიშებს მერვეკლასელ ტ. ბუჭიაშვილს; ქვევით (მარცხნივ) — სტადიონის „ტრიბუნები"; მინდვრის „ბატონ-პატრონი".

ავტორის ფოტო.

## წვიმაზე მეტად

24 მაისს, წვიმიან, ცივ კვირა-დღეს 29 წლის ლენინგრადელმა სპორტსმენმა ე. კორაბლიოვამ ბირთვი 17,30 მეტრზე გაგზავნა. ეს იყო მოსკოვისა და ლენინგრადის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების მატჩში, რომელიც 23-24 მაისს ჩატარდა ლუჟნიკში. მსაჯებმა კორაბლიოვას მიღწევა სსრ კავშირში საუკეთესო და მსოფლიოში მეორე შედეგად მიიჩნიეს ამ სეზონისთვის. ლენინგრადელი სპორტსმენი მერვე ქალია სსრ კავშირში, რომელმაც ბირთვის კვრაში 17-მეტრიანი ზღვარი გადალახა.

სსრ კავშირში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა 800 მეტრზე რბენაში გამარჯვებულმა, სსრ კავშირის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა, ლენინგრადელმა ს. კრიუჩკემა — 1.49,5. 210 სმ სიმაღლე აიღო მეორე ლენინგრადელმა, 24 წლის ი. ტარმაკმა. მოსკოველმა ა. ლებედევმა ორი გამარჯვება მოიპოვა. მან 100 მ 10,6 წამში გაირბინა, ხოლო 200 მ — 21,7 წამში. ლებედევის თანაქალაქელმა ნ. ბესჟამილნაიამ კარგ შედეგს მიაღწია 200 მეტრზე რბენაში — 24,7.

მოსკოველი ო. სტეპანენკო საუკეთესო იყო 110 მეტრზე თარჯრბენში — 14,7.

სამწუხაროდ, ამ მატჩის შედეგებიდან სხვა არაფერია აღსანიშნავი. ასპარეზობა 1928 წლიდან ტარდება. წლევანდელ შეხვედრაში, სადაც როგორც მოზრდილთა, ისე იუნიორთა შორის გამარჯვება მოსკოველებს ხვდათ, სსრ კავშირის ნაკრები გუნდების წევრები რატომღაც არ მონაწილეობდნენ. ორივე გუნდს 40-ზე მეტი ვარსკვლავი მაინც აკლდა. ამან კი, რა თქმა უნდა, წვიმაზე მეტად იმოქმედა შედეგებზე.

## კიდევ ერთი მხტომელით...

ბუდაპეშტი, 25 მაისი. „220-სანტიმეტრიანების კლუბი" კიდევ ერთი მხტომელით შეივსო: აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 22 წლის უნგრელმა ი. მაიორმა „ფოსბიურის" ყაიდით 220 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა — ერთბაშად 5 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისი ქვეყნის რეკორდი და თანაც საუკეთესო შედეგს მიაღწია წლეულს ევროპის სტადიონებზე. II ადგილზეა მაიორის თანაგუნდელი ლ. კელემენი — 217 სმ.

62,82 მეტრზე ტყორცნა ბადრო 23 წლის ფ. ტეგლამ, ხოლო მ. ნემეტმა 82,80 მეტრზე გაგზავნა შუბი.

სამხტომში საუცხოოდ გამოვიდა ზ. ჩიფრა. მისი შედეგი — 16,56 მ საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში.

5 კილომეტრზე რბენაში პირველი იყო ლ. მეჩერი — 13.58,6.

სტუმართაგან თავი გამოიჩინა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. ციკოპოლუსუმ (რუმინეთი), რომელიც 626 სანტიმეტრზე გადახტა.

## შვეციის რეკორდი

ბარსელონა, 25 მაისი. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ათლეტმა ლ. ჰედმარკმა შვეციის ახალი რეკორდი დაამყარა — 7779 ქულა. ევროპაში წლეულს ასეთი შედეგისთვის ჯერ არავის მიუღწევია.

## მე-15 სპორტსმენი

პოზნანი, 25 მაისი. აქ დაწყებული საერთაშორისო შეჯიბრება ბრწყინვალე შედეგით აღინიშნა: 30 წლის პოლონელმა ათლეტმა ვ. კომარმა 20,22 მეტრზე ჰკრა ბირთვი. იგი მე-15 სპორტსმენი გახდა მძლეოსნობის მსოფლიო ისტორიაში, ვინც 20-მეტრიანი ზღვარი გადალახა. კომარმა პოლონეთის ახალი რეკორდი დაამყარა, თანაც საუკეთესო შედეგს მიაღწია წლეულს ევროპაში.

სიგრძეზე ხტომაში ერთნაირი შედეგით (796 სმ) გაიმარჯვეს პოლონელებმა ზ. შუდროვიჩმა და ვ. ციბულსკიმ. 100 მეტრზე რბენაში იმარჯვა ზ. ნოვოშჩმა (პოლონეთი) — 10,3. მისმა თანამემამულემ ი. სიდლომ 80,14 მეტრზე ტყორცნა შუბი. 5000 მეტრზე რბენის ფინიშთან პირველი იყო ჯ. ლეპილამპი (ფინეთი) — 13.53,4.

## ახალგაზრდა სპორტსმენები

### ★ კასპი

მოეწყო ქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლე კალათბურთელთა შეჯიბრება. როგორც ჭაბუკთა, ისე გოგონათა შორის უძლიერესის სახელი აღვილობრივი სკოლა-ინტერნატის სპორტსმენებმა მოიპოვეს.

**ჯ. ქლიხაბედაშვილი.**

# კვლავ მეოთხე ადგილზე

**ხელბურთი**

მოსკოვი, 25 მაისი. დღეს ცსკა-ს დარბაზში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის II წრის ბოლო მატჩები. თბილისის „ბურევესტნიკი" „ალუმინსტროისთან" შეხვედრაში ფრეს დასჯერდა — 13:13.

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა „კუნცევო" — 21:18, „უნივერსიტეტმა" — ცსკა — 22:21, ზმეტი-მ — „სტრაუმე" — 21:14.

თბილისელები პირველი წრის შემდეგ IV ადგილზე იყვნენ და მეორე წრის დამთავრების შემდეგაც იმავე ადგილზე არიან.

მესამე წრის მატჩები 7-16 აგვისტოს გაიმართება კრასნოდარში.

### გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა II წრის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინსტიტუტი (მოსკ.) | 14 | 12 | 2 | 0 | 26 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 14 | 10 | 2 | 2 | 22 |
| „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) | 14 | 9 | 0 | 5 | 18 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 14 | 5 | 3 | 6 | 13 |
| ცსკა | 14 | 4 | 3 | 7 | 11 |
| ზმეტი (ზაპოროჟიე) | 14 | 3 | 2 | 9 | 8 |
| „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) | 14 | 3 | 1 | 10 | 7 |
| „სტრაუმე" (რიგა) | 14 | 3 | 1 | 10 | 7 |

სსრ კავშირის პირველობა

I ჯგუფი

# „ლოკომოტივი“ შინ და „ლოკომოტივი“ გარეთ

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 25 მაისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:0 (1:0).

„ლოკომოტივი“: ბერიძე (აკობია), მირიანაშვილი, პანოვი, ჰელიძე, ფილია, ძაგანია, ჭოლაძე, ბახტაძე, მაზიაშვილი, ხუციშვილი (მზვაცაბაია), ჰელიძე.

„ყუბანი“: კუშჩი, ფოფანოვი, ტოლსტოი, პობედიონი, სურენკოვი, სალნიკოვი, მირზოევი, ფილიპოვი (კოლინკო), გოლუბევი (გრიცენკო), ბუდაგოვი, მირონცევი.

მსაჯი ა. ვასილიევი (ხარკოვი).

თბილისის „ლოკომოტივი“ შინ და გარეთ — ეს ორი, დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოლუსია, ორი სხვადასხვა გუნდი.

ვილაპარაკოთ ციფრების ენით: პირველი 3 მატჩი ლოკომოტიველებმა შინ ჩაატარეს, 2 ფრედ დაამთავრეს, 1 მოიგეს, ბურთების სხვაობა ჰქონდათ 7—1 და სატურნირო ცხრილში VIII ადგილზე იყვნენ.

შემდგომი 5 შეხვედრა თბილისელებმა სხვის მინდვრებზე ითამაშეს და ასეთი დებეტით დაბრუნდნენ: 5 წაგება, ბურთების სხვაობა 1—10, XXI ადგილი.

არის თუ არა საგანგაშო ვითარება? რა თქმა უნდა! გუნდი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია. მართალია, მას ტრავმებისა და ავადმყოფობის გამო რამდენიმე ძირითადი მოთამაშე გამოაკლდა, მაგრამ ხომ არ შეიძლება ყოველივე ამას დავაბრალოთ და შევურიგდეთ ასეთ თავბრუდამხვევ დაქანებას?! ეჭვი არ გვეპარება: კოლექტივის წევრებს, ფეხბურთელებს ძალთა მეტი მობილიზება, მეტი თავდადება რომ გამოეჩინათ, „ლოკომოტივი“ კატასტროფის გზით არ წავიდოდა.

მაგრამ ყველაფერი დაკარგული როდია. წინ ბევრი შეხვედრაა, დანაკარგის აღდგენა ახლაც შეიძლება და, რაკი ლოკომოტიველებს „ჩვეულებად“ აქვთ შინ 2 ქულის აღება და სხვაგან წაგება, მათ ყველაფერი უნდა იღონონ, რომ საერთო მარაგის ეს 50 პროცენტი მაინც საიმედოდ იქნეს გარანტირებული. მით უმეტეს, რომ გუნდს ამჟამად ზედიზედ 3 თამაში აქვს თავის მინდორზე.

ახლა ორიოდე სიტყვა განვლილ მატჩზე. იგი არ იყო იოლი ჯერ ერთი იმიტომ, რომ „ყუბანი“ ძლიერი მეტოქეა, მეორეც, — თუმცა ინიციატივას მთელი მატჩის მსვლელობაში მასპინძლები ფლობდნენ, უპირატესობის გამოყენება მეტისმეტად გაჭირდა.

პირველი 10 წუთის მანძილზე „ყუბანის“ კართან 2-3 სახიფათო მომენტი შეიქმნა. შემდეგ, მე-12 წუთზე, ხუციშვილმა ძლიერად დაარტყა კარში, კუშჩმა ვერ შეაჩერა ბურთი ხელებში და ანგარიშიც გაიხსნა — 1:0.

ცოტა ხნის შემდეგ ჭოლაძე კარგად შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანში, კარის წინ მყოფ ხუციშვილს გადასცა ბურთი, ამ უკანასკნელმა კი მიუტევებელი უზუსტობით დაარტყა.

შესვენების შემდეგ თამაში უფრო საინტერესო, დაძაბული გახდა და თბილისელებმა საბოლოოდ შეძლეს გამარჯვების შენარჩუნება.

რ. ძორიძე.

# გორელთა „ფერისცვალება“

გორი. ქალაქის სტადიონი. 25 მაისი.

„დილა“ (გორი) — „მეტალურგი“ (ტულა) 2:4 (2:1).

„დილა“: ჩლაიძე, კოზინი, კობიაშვილი, ამბრიაშვილი, ნასარიძე, მარღიშვილი, ჰეიშვილი (გელდიაშვილი), ჩიტაური (მაღრაძე), კაპანაძე, პაპიაშვილი, ეზუბბაია.

„მეტალურგი“: ამოსოვი, ვოსტრიუკოვი, როსკინი, ხორიკოვი, სლეპნიოვი, ბაბენკო, ჟივიუდა (დუდინი), ბელოუსოვი (მინაევი), კუზნეცოვი, მელეშკო, ერმაკოვი (დოროფეევი).

მსაჯი გ. ახაიანი (ერევანი).

ეს იყო წინა ტურის გამოტოვებული თამაში, ვინაიდან ტულელი ფეხბურთელები თასის მატჩებში მონაწილეობდნენ. მიუხედავად ამისა, „მეტალურგი“ II ადგილზე იყო და, საერთოდ, „ა“ კლასის II ჯგუფში იგი ყველასთვის ძლიერ მეტოქედ ითვლება.

გორელებმა კარგად დაიწყეს თამაში. მართალია, მათ პირველი ბურთი თავიანთ კარში მიიღეს მე-19 წუთზე მელეშკოს დარტყმის შემდეგ, მაგრამ არ გასულა სამიოდე წუთი და კაპანაძემ თანაფარდობა აღადგინა — 1:1.

23-ე წუთზე იმავე კაპანაძემ კარგად გამოიყენა ტულელთა მეკარისა და მცველთა შეუთანხმებლობა და „დილა“ შესვენებაზე დადებითი ბალანსით წავიდა.

მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და მაყურებლებმა სულ სხვა გუნდი იხილეს მინდორზე: გორელ ფეხბურთელთა აქტიურობიდან და მონდომებიდან ნატამალიც კი არ დარჩა. გუნდმა, თითქოს ნებაყოფლობითო, მთლიანად ჩააბარა ინიციატივა მეტოქეს და საშუალება მისცა ხანგრძლივ შეტევაზე გადმოეყვანა ნახევარმცველებიც კი — სულ 5-6 მოთამაშე.

მეტალურგებმაც არ დააყოვნეს: ჯერ დოროფეევმა გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შემდეგ მანვე 75-ე წუთზე დააწინაურა თავისი გუნდი — 3:2.

II ჯგუფი

II ზონა

მასპინძლები თითქოს ახლა მაინც უნდა მოსულიყვნენ გონს, მაგრამ ისინი კვლავინდებურად ყოვლად უსისტემოდ, უნიათოდ მოქმედებდნენ და ნახევარმცველ ბელოუსოვს საკმაოდ იოლად მიეცა შესაძლებლობა მეოთხედ აეღო მათი კარი.

გ. გოზალიშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# ობიექტური მიზეზები და მესამე პერიოდის პრობლემა

როგორც ვიუწყებოდით, მახაჩყალასა და ნოვოსიბირსკში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელს ი. ჩხარტიშვილს, რომელიც პირველობის შეხვედრებს ორივე ქალაქში დაესწრო.

● საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში ასეთი არასახარბიელო მაჩვენებლები საქართველოს მოჭიდავეებს არასდროს ჰქონიათ. რით ხსნით ამას?

— შედეგი მართლაც უსიამოვნოა: ორი მეორე პრიზიორი. ეს არის და ეს. ასეთი ღარიბი ნადავლი ჩვენი გუნდისთვის შეუფერებელია. თუმცა ამას, რა თქმა უნდა, აქვს ობიექტური მიზეზებიც. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ ხალიჩაზე სხვადასხვა მიზეზით (ტრავმა, ავადმყოფობა და ა. შ.) ვერ გამოვიდნენ შ. ლომიძე, ნ. ხოხაშვილი და ლ. თედიაშვილი. ეს სამი გვარი ჩვენს სპორტში საკმაოდ ბევრს ნიშნავს, რესპუბლიკისთვის კი მათ ოქროსა და ვერცხლის მედლების ღირებულება ჰქონდათ. ასე რომ, როცა ჩემპიონატის შედეგებზეა საუბარი, უნდა გვახსოვდეს, რომ სამი ფავორიტის ბედი ტურნირის დაწყებამდე იყო ცნობილი.

● ეს სამწუხარო ფაქტია. მით უმეტეს, რომ ისტორიას, რომელიც მხოლოდ პრიზიორთა გვარებს ინახავს, არ აინტერესებს, ვინ რა მიზეზით არ მონაწილეობდა ჩემპიონატში.

— სწორედ ესაა საქმე, თორემ მიზეზი სხვაც არის და არანაკლებ ობიექტური.

● რა გაქვთ მხედველობაში?

— ორი მძიმე ტრავმა, რამაც ორი საპრიზო ადგილი დაგვაკარგვინა. ჯერ დაწვრილებით გიამბობთ ქუთაისის „განთიადის“ წევრზე რ. მოსეშვილზე, რომელმაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხელიდან გაუშვა ერთ-ერთი საპრიზო ადგილი. ეს მოხდა კრასნოიარსკელ ი. იარიგინთან შეხვედრაში, იმ იარიგინთან, რომელიც ბოლოს ჩემპიონი გახდა ქვემძიმე წონაში და რომლის ოსტატობასაც პრესამ ხოტბა შეასხა. მოსეშვილმა მეორე პერიოდში ხიდურზე შეაყენა მეტოქე და ალბათ წმინდად გაიმარჯვებდა, მდივანს დრო რომ არ შეშლოდა და 1 წუთით ადრე არ დაეკრა გონგი. მესამე პერიოდში ქუთაისელმა მოჭიდავემ გაითვალისწინა მდივნის გულმავიწყობა და თავიდანვე მწვავედ შეუტია მეტოქეს. მერე უეცრად ხიდურზე შეაყენა იგი და ბოლოს ბეჭებზე დასცა: მომავალი ჩემპიონი მაინც ვერ გადაურჩა წმინდა წაგებას, თუმცა უვნებელი ვერც გამარჯვებული გამოვიდა „ცეცხლიდან“ — მოსეშვილმა ნეკნი დაიშავა. მომდევნო ბრძოლა ევროპის ჩემპიონ ვ. გულიუტკინთან მან ვერ დაამთავრა. სხვა რომ არაფერი, დაშავებული ნეკნით ჭიდაობა, უბრალოდ, უხერხულიცაა. მოსეშვილი IV ადგილზე დარჩა.

● კიდევ ვინ გყავდათ მხედველობაში, როცა ორ ტრავმას გულისხმობდით?

— ზ. ბერიაშვილი, ჩვენი მსოფლიო ჩემპიონი, რომელმაც უკრაინის წარმომადგენელ ბურაკოვთან ჭიდილში ფეხი იტკინა.

● ტრავმისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ ნუთუ ყველაფერი ბრმა შემთხვევის ბრალია, ნუთუ იმდენად ვიყავით განწირული, რომ ბედმა არც ერთხელ არ გაგვიღიმა?

— რა თქმა უნდა, ყველაფერს შემთხვევას ვერ დავაბრალებთ, მით უმეტეს, რომ ჩვენი მოჭიდავეები მახაჩყალაშიც და ნოვოსიბირსკშიც ერთი უსიამოვნო სენით დაავადდნენ. ისინი ჭიდილს აქტიურად იწყებდნენ. ყურებით ვერ გაძღებოდით, ისე თამამად, გაბედულად იბრძოდნენ და გამარჯვებისთვის საკმარის ქულათა მარაგსაც აგროვებდნენ. ბოლო პერიოდში კი მათ ველარ იცნობდით. საოცრად იოლად თმობდნენ უპირატესობას და ბოლოს დამარცხებულნი ტოვებდნენ ხალიჩას.

● კონკრეტულად ვინ გყავთ მხედველობაში?

— ჩვენი მოჭიდავეების უმრავლესობა. განსაკუთრებულ შემთხვევებზე კი ახლავე მოგახსენებთ: მსუბუქ წონის ახალგაზრდა ათლეტმა თ. მიქელაძემ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთან ე. ივანოვთან პერიოდნახევარი დიდი უპირატესობით (7:1) მოიგო. ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ მიქელაძე ან წმინდად გაიმარჯვებდა, ან აშკარა უპირატესობით. მაგრამ დარჩენილ დროში მან მხოლოდ 2 ქულა აიღო, მეტოქეს კი მისცა... 13. საბოლოოდ მიქელაძემ 5 ქულით (9:14) წააგო ეს ანეკდოტური ბრძოლა. ანალოგიური შემთხვევა მოხდა მსუბუქ წონაშიც. აქაც ახალგაზრდა ათლეტმა გ. დგებუაძემ პირველი ორი პერიოდი დამაჯერებლად მოუგო უზბეკეთის წარმომადგენელ გ. ზახაროვს (6:2), მერე კი... წმინდად დამარცხდა.

● როგორც ჩანს, ამ უსიამოვნო სენით უმთავრესად ახალგაზრდა, გამოუცდელი მოჭიდავეები ყოფილან დაავადებული?

— მთლიანად ასე არაა. მართალია, ზემოჩამოთვლილი ათლეტები „დიდი ხალიჩისთვის“ ჯერ ახალბედები არიან, მაგრამ სხვა მაგალითებიდან ჩანს, რომ მესამე პერიოდის პრობლემამ ბევრი გამოცდილი ოსტატიც იმსხვერპლა. მეორე საშუალო წონაში შ. პაპაშვილი ანგარიშით 6:2 უგებდა ვ. მარშანიას (რსფსრ), მაგრამ ბოლოს წმინდად დამარცხდა. მძიმეწონოსანი ბ. გოგნაძე, რომელიც დამაჯერებლად იგებდა შეხვედრას მოსკოველ ე. მაქსიმოვთან, გონგამდე 13 წამით ადრე წმინდად დამარცხდა.

ჩვენი ინტერვიუ

● რით შეიძლება ავხსნათ ეს?

— ჩვენს მოჭიდავეებს, სხვებისგან განსხვავებით, გამძლეობა არ ჰყოფნიდათ. ჩანს ისინი ფიზიკურადაც არ იყვნენ ჯეროვნად მომზადებული. შეხვედრის ხანგრძლივობა მხოლოდ 2 პერიოდით რომ ყოფილიყო განსაზღვრული, ჩვენ ალბათ რამდენიმე ჩემპიონი გვეყოლებოდა.

● გამძლეობა არ ჰყოფნიდათო ვამბობთ, მაგრამ ეს ხომ უფრო შედეგია წარუმატებლობისა, ვიდრე მიზეზი?

— მიზეზი, ჩემი აზრით, ისაა, რომ წლევანდელი საუწყებო ჩემპიონატის წინ ყველა სპორტსაზოგადოებამ ჩაატარა ცენტრალური საბჭოს პირველობები. მერე დაკომპლექტდა საზოგადოებათა ნაკრები გუნდები, უძლიერესები იმავე ქალაქებში დარჩნენ და საკავშირო ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყეს. მაგრამ, ვინაიდან ჩვენი რესპუბლიკის მწვრთნელები ამ საქმიანობაში არ მონაწილეობდნენ, როგორც ჩანს, დაიკარგა ყურადღება და სათანადო კონტროლი, რამაც რეჟიმის საერთო დარღვევა გამოიწვია. ძნელია ფორმაში შესვლა, თორემ ფორმის დაკარგვისთვის რამდენიმე დღეც საკმარისია.

● ხომ ვერ გვეტყვით, რა პოზიტიური მნიშვნელობა ჰქონდა ჩემპიონატს?

— ტურნირებში მონაწილეობა მიიღო ჩვენი რესპუბლიკის 22 ათლეტმა. ბევრმა ახალგაზრდა მოჭიდავემ გაიარა მკაცრი და სასარგებლო სკოლა, გაიცნო უძლიერესთა სტილი, მიიღო გამოცდილება. ჩემპიონატი სასარგებლო იყო ჩვენთვის — მწვრთნელებისთვისაც, ვინაიდან შევამოწმეთ პერსპექტიულ ათლეტთა მონაცემები. ახლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი სახელოვანი ფალავნები ღირსეულ შევსებას მიიღებენ ა. სულაქველიძის, რ. დობორჯგინიძის, ა. ილურიძის, რ. მოსეშვილის, ს. გოგნაძის, მ. კილაძის, გ. გორგაძის, თ. მიქელაძის, გ. დგებუაძის, ჯ. მესტვირიშვილის, რ. მარსაგიშვილის, ნ. მოდებაძის სახით.

● თუ იყო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ რაიმე საუბარი ნაკრების წევრთა ან კანდიდატთა შესახებ?

— დიახ იყო, და დაზუსტდა კიდეც სიები. ნაკრების შემადგენლობაში ჩვენი რესპუბლიკიდან შეიყვანეს: ლომიძე, ბერიაშვილი, ნ. ხოხაშვილი, ცხოვრებოვი, ალიბეგაშვილი, თედიაშვილი, ყვარელაშვილი, კანდიდატთა სიაში — მოდებაძე, მარსაგიშვილი, ა. ხოხაშვილი, მოსეშვილი, სულაქველიძე, ილურიძე, გოგნაძე.

# თავგანწირული ნახტომის საზღაური

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, თბილისის „ლოკომოტივისა“ და „დინამოს“ გუნდების პირველმა მატჩმა (0:0) რეგბიში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი ვერ დაასახელა. დაინიშნა დამატებითი შეხვედრა, რომელიც 21 მაისს „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა.

მეტოქეებმა წინა შეხვედრის შედეგიდან სათანადო დასკვნები გაუკეთებიათ და ახლა უფრო აქტიურად მოქმედებდნენ, ხშირად შლიდნენ მარაოს და ბურთიც სწრაფად მოძრაობდა ერთი ფლანგიდან მეორეზე.

თავიდან „ლოკომოტივის“ უპირატესობა იგრძნობოდა. ჯაფარიძის, ხარშილაძის, კაპანაძის, კიზირიასა და მიქაბერიძის თავგანწირული თამაშის წყალობით გუნდი ინიციატივას დაეუფლა. ლოკომოტიველები აუტიდან მოწოდებულ ბურთებსაც უმეტესად იგებდნენ, „დინამოს“ ნახევარს არ შორდებოდნენ, მაგრამ მეტოქის დაცვის ზუსტი თამაშის გამო საბოლოო მიზანს ვერ აღწევდნენ.

შუა ტაიმში თამაში გათანაბრდა. თუ წინა მატჩში არეკნით დარტყმული ბურთის ძელებს შორის გატარება არც ერთ გუნდს არ უცდია, ამჯერად ორივე კოლექტივი ამ ხერხს ყველა ხელსაყრელ მომენტში მიმართავდა.

მიმდინარეობდა 25-ე წუთი. რკინიგზელები თავიანთ ნახევარზე დაჯარიმდნენ. დინამოელმა ხაჭაპურიძემ მარჯვენა ფრთიდან შორიდან ძლიერად, ზუსტად დაარტყა და ანგარიში გახსნა — 3:0.

მარცხმა რკინიგზელები უფრო წააქეზა. მათ მეტოქეს ზედიზედ შეუტიეს და 3 წუთის შემდეგ ანალოგიური საჯარიმო დარტყმის უფლება მოიპოვეს, მაგრამ კაპანაძე ოდნავ უზუსტო აღმოჩნდა.

და მაინც, „ლოკომოტივმა“ ანგარიში შესვენებამდე 8 წუთით ადრე გაათანაბრა, როცა კიზირიამ უშეცდომოდ გამოიყენა საჯარიმო — 3:3. ამის შემდეგ ინიციატივას ისევ რკინიგზელები დაეუფლნენ. მათ რამდენიმე კარგი კომბინაცია წამოიწყეს და ერთი, 38-ე წუთზე, კინაღამ „დინამოს“ ჩათვლის მინდორზე ბურთის დადებითაც დაამთავრეს, მაგრამ ბოლო მომენტში მეტოქის მცველებმა კარგად ითამაშეს.

... „დინამოს“ ნახევარზე, ცენტრთან ახლოს, შერკინება დაინიშნა. რკინიგზელებმა ბურთი ოსტატურად გამოიტანეს, შესანიშნავ პოზიციაში მყოფ კიზირიას მიაწოდეს და მან არეკნით დარტყმით თავისი გუნდი დააწინაურა — 6:3.

მეორე ტაიმის ნახევარი „ლოკომოტივის“ მცირე უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ რკინიგზელებს მალე დაღლა დაეტყოთ. „დინამომ“ ამით კარგად ისარგებლა და მატჩის სადავეები ხელთ იგდო. შეხვედრის 65-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა (ხაჭაპურიძე), 6 წუთის შემდეგ კი მგელაძე თავგანწირული ნახტომით ბურთიანად დავარდა მეტოქის ჩათვლის მოედანზე — 9:6.

დარჩენილ დროში ანგარიში არ შეცვლილა, თუმცა ეს ორივე გუნდს შეეძლო.

ამ მატჩში გამარჯვებულიცა და დამარცხებულიც მხოლოდ ქებას იმსახურებენ, ვინაიდან ორივე მონდომებით, თავდაუზოგავად და, რაც მთავარია, კორექტულად თამაშობდა. საქართველოს საუკეთესო რეგბისტთა კოლექტივები — „ლოკომოტივი“ და „დინამო“ საკავშირო პირველობას მზად ხვდებიან და, თუ ქვეყნის ჩემპიონატშიც ასევე ერთსულოვანი იქნებიან, სათანადო ნაყოფიც არ დააყოვნებს.

ო. გელაშვილი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს ჩემპიონი — თბილისის „დინამო“.
მ. ზარგარიანის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრნოდან ლესტერამდე

საბჭოთა ველომრბოლელებმა ახალი სეზონი სოჭის ტრადიციული მრავალდღიანი ტურით გახსნეს. პირველი ოფიციალური შეჯიბრებებისთვის ემზადებიან ტრეკზე მრბოლელებიც.

აას-ის კორესპონდენტი შეხვდა სსრ კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს სატრეკო ველოსპორტში ვ. ბახვალოვს და სთხოვა ეამბნა ახალი სეზონის თავისებურებებზე, უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებებზე და ამ შეჯიბრებებისთვის ტრეკის უძლიერესი საბჭოთა ოსტატების მომზადების დონეზე.

— სსრ კავშირის უძლიერესი ტრეკზე მრბოლელები სეზონისთვის დამოუკიდებლად, ინდივიდუალური გეგმებით ემზადებოდნენ, რომლებიც მაშინვე შევადგინეთ, როგორც კი ქვეყნის ნაკრები გუნდი ბრნოს მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნდა, — თქვა ბახვალოვმა. — ამ მზადების მთავარი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ სპორტსმენებს ზამთრის ჯანმავლობაში ჩაეტარებინათ აუცილებელი მოცულობის ფიზიკური ვარჯიშები. გაზაფხულზე ჩვენ ცოტა ხნით შევკრიბეთ სამხრეთში ნაკრების კანდიდატები, რათა მათი ფიზიკური მდგომარეობა შეგვემოწმებინა და ჩაგვეტარებინა პირველი ვარჯიშები სისწრაფეში. ამჯერად ტრეკის ოსტატები უკვე მარტში გამოვიდნენ საგზატკეცილო რბოლების სტარტზე.

ტრეკზე ოფიციალური შეჯიბრებების პირველ ეტაპს ვიწყებთ მაისის მიწურულს ტრადიციული „ქალაქთა მატჩით“, რომელიც ლენინგრადში გაიმართება. ივნისში შედგება საერთაშორისო შეხვედრების სერია, „ლენინგრადის დიდი პრიზისა“ და „ტულის დიდი პრიზის“ გათამაშებები. ბოლო წლებში ეს ყველაზე დიდი შეჯიბრებებია. მათში ალბათ მონაწილეობას მიიღებენ პოლონეთის, საფრანგეთის, ბულგარეთის, დანიის, ჩეხოსლოვაკიის, გფრ-ის, უნგრეთის გდრ-ის უძლიერესი ველოსიპედისტები. სსრ კავშირში გამოსვლის სურვილი გამოთქვეს მორელონმა, ტრანტენმა ფრედბორგმა, პედერსონმა. ეს ასპარეზობანი დაგვეხმარებიან შევაჯამოთ ჩატარებული მუშაობის შედეგები, შევადაროთ ფაქტიური მიღწევები დაგეგმილს. რაც მთავარია, ეს ახალგაზრდა საბჭოთა სპორტსმენებისთვის კარგი ფსიქოლოგიური და ტაქტიკური სკოლა იქნება.

შემდეგი ეტაპი სტუმრად შეჯიბრებების სერიაა. სპრინტერები იასპარეზებენ „მილანის დიდ პრიზზე“, „კოპენჰაგენის დიდ პრიზზე“, „გდრ-ის დიდ პრიზზე“. გამოდევნებით მრბოლელები ამ დროს დანიაში გამოვლენ. შეჯიბრებების მიზანია დავადგინოთ 12 მრბოლელი ვაჟისა და 5 მრბოლელი ქალის ვინაობა, რომლებიც ლესტერის (ინგლისი) მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.

მსოფლიო ჩემპიონატამდე ორი კვირით ადრე სსრ კავშირის ნაკრები საბრძოლო შემადგენლობით გაფრინდება გდრ-ში, სადაც ჩაატარებს შეჯიბრებებს ბერლინის ტრეკზე, რომელიც კონსტრუქციით ინგლისურს წააგავს.

6-დან 12 აგვისტომდე საველოსიპედო სპორტის გულშემატკივართა და სპეციალისტთა ყურადღება ლესტერისკენ იქნება მიპყრობილი. იქ ერთმანეთს შეხვდებიან უძლიერესები, რათა 1970 წლის ჩემპიონთა ტიტულები გაითამაშონ.

სსრ კავშირის პირველობა აგვისტოს მეორე ნახევარში გაიმართება ლენინგრადში, შემოდგომით კი ოლიმპიური თამაშების ვადებში სიმფეროპოლში საბჭოთა კავშირის თასი გათამაშდება.

● **მსოფლიო ჩემპიონატი გამოდევნებით გუნდურ რბოლაში საბჭოთა სპორტსმენებმა პირველად 1963 წელს მოიგეს. მას შემდეგ გუნდის შემადგენლობა თითქმის მთლიანად განახლდა. რა თავისებურებები ახასიათებს საბჭოთა გუნდს და როგორ მიმდინარეობდა თაობათა ცვლა?**

— საბჭოთა მრბოლელები ძლიერები არიან, პირველ ყოვლისა, მობილიზაციის უნარით, რაციონალური ტექნიკით, ძალთა ზუსტი შეფასებითა და შემადგენლობის თანაბრობით. მართლაც, საბჭოთა ოთხეულში ძველი შემადგენლობიდან დარჩა მხოლოდ ს. მოსკვინი, გუნდის სული და გული, უცვლელი კაპიტანი. თაობათა ცვლა უეცრად არ მომხდარა. მთავარი, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, მემკვიდრეობითობაა. ყოველი მსოფლიო პირველობის წინ შემადგენლობა სანახევროდ იცვლებოდა. ასე შევინარჩუნეთ ძველი თაობის გამოცდილება, ხოლო ახალგაზრდობას კი სიფიცხე და ტემპერამენტი შემოჰქონდა.

● **შარშან თქვენ ამბობდით, რომ მოსკვინი სპორტს ტოვებს. სწორია თუ არა ეს?**

— დიახ, მოსკვინი მწვრთნელად აპირებდა მუშაობის დაწყებას. ეს გადაწყვეტილება მან მეხიკოში წარუმატებლობით გამოწვეული დეპრესიის დროს მიიღო. რჩევა-დარიგების შემდეგ მოსკვინმა ყოველივე აწონ-დაწონა და აქტიურ სპორტში დარჩენა არჩია. სწორადაც მოიქცა. ამაში ჩვენ ბრნოს მსოფლიო ჩემპიონატში დავრწმუნდით. ახლა იგი მიუნჰენში გამოსვლაზე ოცნებობს.

● **რატომაა, რომ საბჭოთა სპორტსმენები გუნდურ რბოლაში წარმატებით გამოდიან, ხოლო ინდივიდუალურ გამოდევნებით რბოლაში წინასწარი სერიების შემდეგ ეთიშებიან ასპარეზობას?**

— ჯერ ერთი, კოლექტიურ სახეობებში საბჭოთა სპორტსმენები საერთოდ უფრო ძლიერად გამოდიან. მეორე, უკანასკნელი წლების შედეგები მოწმობენ, რომ ყველაზე დიდი მიღწევები გზატკეცილზე ინდივიდუალური გამოდევნებით რბოლის სპორტსმენებს აქვთ, ხოლო სწორედ ამ სახეობაში ჩვენ ქრონიკულად ჩამოვრჩებით. სანამ ის სპორტსმენები, რომლებიც სპეციალიზაციას გზატკეცილზე გადიან, ტრეკზე არ გამოვლენ, ჩვენ ძლიერ კონკურენციას ვერ გავუწევთ დასავლეთის ველოსიპედისტებს. მახსენდება ტრეკზე რბოლები ვ. კაპიტონოვის, ა. ჩერეპოვიჩის, ი. მელიხოვის, ა. პეტროვის მონაწილეობით. მათ ბევრჯერ მოუგიათ სსრ კავშირის პირველობა. აქედან მოდის მათი გამარჯვებები გზატკეცილზე უძნელეს სტარტებში. მარტო სატრეკო მომზადების წყალობით შეუძლებელია უმაღლესი კლასის აღზრდა.

● **ბრნოს მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ თქვენ აღიარეთ, რომ შეცდომა დაუშვით ტანდემის ეკიპაჟის დაკომპლექტებაში. რაში მდგომარეობდა ეს შეცდომა?**

— ჩვენ ერთ ტანდემს ვამზადებდით და მხედველობაში არ მიგვიღია შესაძლებელი შემთხვევითობა. მსოფლიო ჩემპიონატამდე გფრ-ში გამოსვლისას ჩვენმა მრბოლელებმა პირდაპირ გაანადგურეს ბარტ—მილერის ტანდემი, რომელმაც ჩეხოსლოვაკიაში III ადგილი დაიკავა. მსოფლიო ჩემპიონატისთვის ი. ცელოვალნიკოვი — ვ. სემენეცი ჩინებულ ფორმაში იყვნენ. მაგრამ ზედ სტარტის წინ სემენეცი ავად გახდა. მე სპეციალისტებს დავუთმე და ქვეყნის ჩემპიონების ა. აგაპოვისა და ბ. პეტროვის ეკიპაჟი გამოვიყვანე. თანაც, იმ დროისთვის პეტროვი თავის საუკეთესო ფორმაში არ იყო, აგაპოვმა კი დუმილი არჩია.

სადღეისოდ სპრინტერებს ი. ცელოვალნიკოვს, ვ. სემენეცს, ვ. ლოგუნოვს, მოსკოველ ა. პოლიტაევს ორი ძლიერი ტანდემის შექმნა შეუძლიათ. აი, სწორედ მათგან შევადგენთ მობილურ დუეტს.

● **რა მდგომარეობაშია ჩვენში სატრეკო პროგრამის ისეთი საინტერესო სახეობა, როგორიცაა სალიდერო რბოლა?**

— პირდაპირ ვიტყვი, ძალიან ცუდ მდგომარეობაში. ჩვენ არ გვყავს მრბოლელი, რომელსაც ძალუძს იბრძოლოს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზურისთვის, თუმცა ორი წლის წინ მ. მარკოვი გამარჯვების ძირითად პრეტენდენტად ითვლებოდა. მცირეა სტარტების რაოდენობა, მრბოლელთა რიცხვი, სპორტსაზოგადოებები ინტერესს არ იჩენენ ამ სახეობისადმი. შესაძლებელი რომ იყოს საზოგადოებებში ინტერესის გაღვივება, ყველა მთავარი დაბრკოლება გადალახული იქნებოდა.

● **რა აზრისა ხართ საზღვარგარეთ სატრეკო სპორტის მდგომარეობაზე და უცხოელ მეტოქეებზე?**

— ჩვენთვის ცნობილია, რომ ოლიმპიური თამაშების შემდეგ საერთო ჩამორჩენა იგრძნობა. წამყვანი მრბოლელების მნიშვნელოვანი ნაწილი პროფესიონალებში გადადის. ყოველ მომდევნო სეზონში კონკურენცია იზრდება, ჩნდება ბევრი ახალი სახელი.

სპრინტში ძირითადი კონკურენტები არიან ისევ საფრანგეთის, იტალიის, დანიის, გდრ-ის, გფრ-ის სპორტსმენები, კერძოდ, მორელონი, ტრანტენი, ფრედბორგი, პედერსონი. პროგრესს განიცდიან ამერიკელები, განსაკუთრებით ვაჟთა სპრინტში და ქალთა საგზატკეცილო რბოლაში. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ოლიმპიადის მოახლოებასთან დაკავშირებით ველოსპორტისადმი ინტერესი იზრდება.

ინდივიდუალურ გამოდევნებით რბოლაში მთელმა პირველმა ექვსეულმა მიატოვა სამოყვარულო სპორტი. ჩემი აზრით, დანარჩენ სპორტსმენებში 1970 წლის ჩემპიონის ტიტულის ყველაზე „რეალური“ პრეტენდენტები არიან დარმე (საფრანგეთი) და კნუტსენი (ნორვეგია). ნორვეგიაში ტრეკები არ არის და კნუტსენი ტიპიური საგზატკეცილო მრბოლელია. მე ვფიქრობ, რომ წვრთნის დროს იგი მოციგურავეთა ვარჯიშების მეთოდიკას იყენებს, მით უმეტეს, რომ სპორტის ამ ორ სახეობას ბევრი საერთო აქვს.

გუნდურ რბოლაზე უნდა ვთქვა, რომ კონკურენცია აქ მნიშვნელოვნად გაიზარდა. იტალიელებმა, ჩეხოსლოვაკიელებმა, ფრანგებმა, გდრ-ის გუნდმა შარშანდელ პირველობაში დაგვიმტკიცეს, რომ ოქროს მედლის სავსებით სამართლიანი პრეტენდენტები არიან. სამეულში გფრ-ის წარმომადგენლები არ ყოფილან, მაგრამ ისინი მთავარ მეტოქეებად უნდა მივიჩნიოთ.

დასასრულს ვიტყვი, რომ ზედმეტად არ ვაფასებთ ჩვენი კონკურენტების ძალას, მაგრამ არც იოლი ბრძოლის იმედი გვაქვს. ვცდილობთ შესაძლებლობების მიხედვით უკეთ გავიცნოთ მეტოქეები, მათი მეთოდიკა. ვეძებთ სიახლეს მრბოლელების ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების მეთოდებში.

---

28 მაისს

თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის სხდომათა დარბაზში (ცამოს ქ. № 70) გაიმართება **„სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს IV პლენუმი.**

დღის წესრიგი: „სპარტაკის“ რესპუბლიკური ორგანიზაციის მიერ 1969 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები და 1970 წლის ამოცანები“.

---

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

---

# ყოველი მხრიდან

## „არც ერთი სოლდო სპორტისთვის“

ეს სიტყვები ამოღებულია 60-ანი წლების დამდეგის სახელგანთქმული იტალიელი სპრინტერის ლ. ბერუტის წერილიდან, რომელიც მან იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ჯ. ონესტის გაუგზავნა. რომის ოლიმპიადის ჩემპიონმა იცის, რასაც ამბობს: იტალიური სპორტის ფასადს მიღმა, რომელსაც საერთაშორისო სარბიელზე პამიჩის, ოტოზის, მენიკელის, დიბიასის, კანიოტოს ტიპის ვარსკვლავები წარმოადგენენ, არ არის არაფერი — არც თანამედროვე სპორტული ნაგებობები, არც კვალიფიციური მწვრთნელები, არც სახელმწიფო სუბსიდიები. იტალიელმა „ტიფოზებმა“ იჩქარეს და თავიანთ თანამემამულეთა ყველა მარცხი ონესტის დააბრალეს. მაგრამ ბერუტი უფრო სერიოზულად განიხილავს წარუმატებლობის მიზეზებს.

— საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ ჩვენი მთავრობა სრულიად არ ზრუნავს ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისთვის. მას ერთი ლირაც არ სურს დახარჯოს სპორტის განვითარებისთვის. იმ უზარმაზარი შემოსავლიდანაც კი, რაც სხვადასხვა სპორტულ ტოტალიზატორს მოაქვს, სამოყვარულო სპორტისთვის არც ერთი სოლდო არ იხარჯება. განა გასაკვირია, რომ სამოყვარულო სპორტი ჩვენს ქვეყანაში არსებითად არ არის და არც შეიძლება იყოს?

## სამართლიანი გადაწყვეტილება

როგორც ცნობილია, თავის დროზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ, რომელიც აქტიურად ატარებს რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკას, ვიზა არ მისცა აშშ-ს № 1 ჩოგბურთელს, ზანგ ა. ეშს.

ახლახან მოვიდა ცნობა, რომ მსოფლიოს არაოფიციალური პირველობის — დევისის თასის გათამაშების ორგანიზატორებმა ფორსტერის მთავრობის პოლიტიკით აღშფოთებული მსოფლიო სპორტული საზოგადოებრიობის გავლენით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ამ პოპულარულ ტურნირში მონაწილეობის უფლება ჩამოართვეს.

ეს ამბავი ეშმა ავსტრალიაში შეიტყო. „მე ველოდი ამ გადაწყვეტილებას, — განუცხადა ჟურნალისტებს ცნობილმა სპორტსმენმა. — არავითარი იმედი არ არის, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სპორტისადმი დამოკიდებულება სასიკეთოდ შეიცვლება. რასისტული სახელმწიფო სამართლიანად გამოთიშეს ამ შეჯიბრებებიდან, რომელიც თავისი შინაარსით ამხანაგურია“.

## მინდორზე — პროფესიონალი, ესტრადაზე — მოყვარული

სახელგანთქმულმა ესპანელმა ფეხბურთელმა ლ. სუარესმა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე გამოდიოდა იტალიის კლუბ „ინტერის“ სახელით, ბურთი ესტრადის მომღერლის მიკროფონით შეცვალა. მინდორზე სუარესის თამაში მუდამ კორექტულობით გამოირჩეოდა. სპორტსმენი უაღრესად კრიტიკულად ეკიდებოდა თავის ოსტატობას. ასეთი დარჩა იგი დღესაც, როცა დიდი სპორტი დატოვა.

— თუ სტადიონზე ნამდვილი პროფესიონალი ვიყავი, სცენაზე, სამწუხაროდ, აშკარა მოყვარული ვარ. და მე ვეცდები მაინცდამაინც ბოროტად არ ვისარგებლო მსმენელის მოთმინებით, — განუცხადა ამას წინათ სუარესმა პრესის წარმომადგენლებს.

მართალია, მალე ამ განცხადების შემდეგ სუარესი მაინც გამოვიდა ესტრადაზე, თუმცა საამისოდ კარგი გასამართლებელი საბუთიც ჰქონდა: კონცერტის მთელი შემოსავალი პოლიომიელიტით დაავადებულ ბავშვებს უნდა მოხმარებოდა. კონცერტზე შეკრებილი ათასობით მსმენელი სუარესს ძალიან თბილად შეხვდა. ცნობილი ფეხბურთელი საოცრად ლირიკულად ასრულებდა ესპანურ ხალხურ სიმღერებს.

## მრავალი წლის სამუშაო

ფიგურული ციგურაობა დასავლეთ გერმანიაში ახლა მძიმე კრიზისს განიცდის. ეროვნულ ნაკრებში მწვრთნელთა ნამდვილი ართურმაა გაჩაღებული, მაგრამ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება ვერავინ შეძლო. ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი ცელერიც კი, რომელმაც თავის დროზე მოამზადა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები წყვილთა სრიალში კილიუსი და ბოიმლერი, ეჭვობს, რომ საქმეს რამეეშველება, თუ მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებები არ გატარდა.

— გფრ-ში უნდა შეიქმნას ფიგურული ციგურაობის დიდი ცენტრი, — ამბობს იგი, — მაგრამ ეს საქმე ჯერჯერობით ქაღალდზეც არ დაწყებულა. მთავრობამ მშენებლობისთვის ფულიც რომ გაიღოს, სწრაფ წარმატებაზე ფიქრი მაინც ზედმეტია. ეს მრავალი წლის სამუშაო გახლავთ მე, მაგალითად, ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ საპოროს ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი უძლიერესი ფიგურისტები მეათე ადგილს ვერ გასცდებიან. ჩვენი გეგმები ახლა მხოლოდ ათი წლის ბავშვებს შეიძლება დავუკავშიროთ. 15 წლის რომ გახდებიან ისინი უკვე მომზადებული ფიგურისტები იქნებიან, 20 წლის ასაკში კი ჩემპიონობისთვისაც შეძლებენ ბრძოლას.

---



**წყალბურთი**

საერთაშორისო შეჯიბრება

მონაწილეობენ XV, XVI და XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი — უნგრეთის ეროვნული გუნდი, ევროპის ჩემპიონი და XVII, XVIII და XIX ოლიმპიური თამაშების პრიზიორი — სსრ კავშირის ნაკრები და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადების არაერთგზის პრიზიორი — საქართველოს გუნდი.

**28 მაისი.** სსრ კავშირი — უნგრეთი.

**29 მაისი.** საქართველო — უნგრეთი.

**30 მაისი.** სსრ კავშირი — უნგრეთი.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ა. ფუქსი (ბელგია).

მატჩების დასაწყისი 19 ს.

---

**თბილისი სპორტულ ბაზაზე**

**ჭადრაკი.** რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზი. ქალთა VI საერთაშორისო ტურნირი. **დღეს:** გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 16 ს. 30 წ.

**ფარიკაობა.** „ბურევესტნიკის“ დარბაზი. **27-30 მაისი.** საქართველოს უძლიერეს სპორტსმენთა პირადი პირველობა. დასაწყისი 10 ს.

**ცურვა.** თბილისის განათლების განყოფილების აუზი (საირმის ქ. № 40). **დღეს:** საქალაქო ტურნირი „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე — „მხიარული დელფინი“. II ეტაპი, დასაწყისი 17 ს.

---

# კელაპ — ევროპის ნაკრებში

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელმა — ჰოლანდიის „ფეიენოორდმა“ გადაწყვიტა საინტერესო მატჩი მოეწყოს, რომლის მთელი შემოსავალი გადაეცემა მიწისძვრისგან დაზარალებულ ქალაქ ბანია-ლუკას (იუგოსლავია).

„ფეიენოორდის“ წინააღმდეგ გამოვა ევროპის ნაკრები, რომელსაც პელეთი გააძლიერებენ. ევროპის ნაკრებში იქნებიან რივერა, კუდიჩინი, ეუსებიო, შნელინგერი, ვან ჰიმსტი, ჰოლცერი, ჯაიჩი და სხვ.

„ფეიენოორდის“ შემადგენლობაც გაძლიერდება ჰოლანდიის სხვა კლუბების წამყვანი მოთამაშეებით.

მატჩის თარიღი ჯერ არაა დანიშნული.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. (8) უე 03263